

2022 წლის შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!

ძვირფასო კოლეგებო!

როგორც მოგეხსენებათ, 2022 წლის 24-29 ივლისს თბილისში დაგეგმილია შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესის ჩატარება. საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზატორები არიან შედარებითი თეორიული ლიტერატურის მსოფლიო ასოციაცია (ICLA), შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA), ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. იხ. ვებ-გვერდი: https://icla2022-tbilisi.ge/?fbclid=IwAR2VEzgBsdYAg6gMEjXkiJiTPVCK3WqP_jCYh-XeVpNZ1Xwc0hm3NLS8F-o

კონგრესში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობაა იყოთ შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო ასოციაციის ქართული ორგანიზაციის (GCLA) წევრი.

ქართველ მეცნიერებს, რომლებსაც სურვილი გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, გთხოვთ, დარეგისტრირდეთ ასოციაციაში. მათ კი, ვინც უკვე არის შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაციის წევრი, გაიაქტიუროთ სტატუსი. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს *ჰუმანიტარული პროფილის ნებისმიერი მეცნიერი, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერები და დოქტორანტები.*

ამისათვის საჭიროა:

ა) შეავსოთ წევრობის მარტივი ფორმა თქვენ შესახებ ძირითადი ინფორმაციის მითითებით (*იხ. დანართი*);

ბ) *ა.წ.31 დეკემბერი* გადაიხადოთ მიმდინარე წლის წევრობის შესატანი 40 ლარის ოდენობით (საბანკო მომსახურების ჩათვლით), ანგარიშზე:

აიპ კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია ს/კ204562847

ბანკი: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ ც/ფ

GE80VT6600000347003608

ბანკისკოდი UGEBGE22

გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და წევრობის ფორმა გადმოგვიგზავნეთ შემდეგ მეილზე: geclainfo@gmail.com

შედარებითი ლიტერატურის ქართული ასოციაციის (GCLA) წევრთა მონაცემები, ქართულ და ინგლისურ ენებზე, აიტვირთება როგორც ასოციაციის, ისე მსოფლიო კონგრესის ოფიციალურ გვერდზე, ხოლო გადახდის ქვითრები გადაეგზავნება მსოფლიო ასოციაციის საფინანსო განყოფილებას, რაც საშუალებას მოგვცემს წარვუდგინოთ თქვენი სია კონგრესის საერთაშორისო კომიტეტს, ფინანსური შეღავათების დასაწესებლად.

პატივისცემით,

ასოციაციის პრეზიდენტი

პროფ. ირმა რატიანი